ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲢᲔᲡᲢᲘ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐᲨᲘ

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

<u>გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.</u>

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

- *კითხვა არჩევითი პასუხებით*

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

- *შესაბამისობის დადგენა*

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში ამ დავალებისათვის განკუთვნილ ცხრილში. თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

- *ღია დავალება*

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას (ტექსტი; ფოტო; ცხრილი; გრაფიკი; დიაგრამა; ფიზიკური, კონტურული, ტოპოგრაფიული რუკები და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(1) 1. რა არის აღნიშნული სხვადასხვა ფერით ანტარქტიდის კონტურულ რუკაზე?



ა) კარული მყინვარები;
ბ) დაკიდული მყინვარები;
გ) მთა-ხეობის მყინვარები;
დ) შელფური მყინვარები.

(1) 2. უკრაინაში ომის დაწყებამდე რომელ ქვეყანასთან ჰქონდა საქართველოს ექსპორტის უფრო დიდი მოცულობა?

ა) რუსეთთან;

ბ) ბელარუსთან;

გ) უკრაინასთან;

დ) მოლდოვასთან.

(1) 3. საქართველოს რომელი კუთხის ტრადიციულ სამზარეულოში გამოიყენება ლოკოკინა კერძის მოსამზადებლად?

ა) სვანეთის;

ბ) სამცხის;

გ) კახეთის;

დ) სამეგრელოს.

(1) 4. რუკაზე რომელი ციფრით აღნიშნულ ქვეყანაში მოვიდა ხელისუფლებაში უფრო ადრე ფაშისტური პარტია?



ა) 1

ბ) 2

გ) 3

დ) 4

(1) 5. რომელი *<u>არ არის</u>* გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება?

ა) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია;

ბ) სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია;

გ) საერთაშორისო სავალუტო ფონდი;

დ) სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

(1) 6. რომელ მდინარეზეა ღვარცოფის განვითარების ყველაზე დაბალი ალბათობა?

(1) 7. რომელ მუნიციპალიტეტში მოიპოვება ილუსტრაციებზე ნაჩვენები მოსაპირკეთებელი მასალა?

დიაბაზის დაიკებით გაკვეთილი გრანიტოიდების მასივი

ა) თელავის;
ბ) ყაზბეგის;
გ) ჩოხატაურის;
დ) წყალტუბოს.

დიაბაზი

(1) 8. ჩამოთვლილთაგან რომელ დაცულ ტერიტორიაზე ვრცელდება რამსარის კონვენცია?

ა) ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალის;

ბ) ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის;

გ) ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის;

დ) თბილისის ეროვნული პარკის.

(1) 9. როგორი ტენიანობის პირობებში იქნება N პუნქტში უფრო მაღალი ჰაერის ტემპერატურა?

	აბსოლუტური ტენიანობა N პუნქტში	შეფარდებითი ტენიანობა N პუნქტში
I	20 გ/მ^3	80%
II	20 გ/მ^3	60%
III	20 გ/მ^3	40%
IV	20 გ/მ^3	20%

ა) I

ბ) II

გ) III

დ) IV

(1) 10. რომელი სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების მონაცემებია ნაჩვენები ცხრილში?

	წარმოება (ათასი ტონა)					
	2016	2017	2018	2019	2020	2021
საქართველო	**126.6**	**97.9**	**107.1**	**100.6**	**102.4**	**135.9**
კახეთი	102.8	80.4	86.1	83.5	80.7	101.3
სამცხე-ჯავახეთი	5.3	2.4	5.0	4.8	4.0	4.3
ქვემო ქართლი	6.9	7.2	8.3	6.8	9.8	17.4
შიდა ქართლი	10.2	7.3	6.7	5.2	7.2	12.3
სხვა რეგიონები	1.5	0.5	0.9	0.4	0.7	0.5

ა) სიმინდის;

ბ) თხილის;

გ) ხორბლის;

დ) ლობიოს.

(1) 11. რომელი ლათინური ასოთია აღნიშნული უფრო ახალგაზრდა შრე გეოლოგიურ ჭრილზე?



ა) A
ბ) B
გ) C
დ) D

(1) 12. რომელი სახელმწიფო *<u>არ შედის</u>* მსოფლიოში ხორბლის მწარმოებელთა პირველ ხუთეულში?

ა) რუსეთი;

ბ) აშშ;

გ) ეგვიპტე;

დ) ჩინეთი.

(1) 13. რომელი სახელმწიფოს ტერიტორია *<u>არ ჩანს</u>* მოცემულ კოსმოსურ ფოტოზე?

ა) ირანის;

ბ) საქართველოს;

გ) სომალის;

დ) კატარის.

(1) 14. რომელი თეთრი სამარკო ღვინის ადგილწარმოშობის მიკროზონაა მოცემული რუკაზე?



ა) ქისის;

ბ) ტვიშის;

გ) ხვანჭკარის;

დ) ოჯალეშის.

(1) 15. როგორი ტიპის ტერასებია ნაჩვენები ფოტოზე?

ა) ხელოვნური;
ბ) განამარხებული;
გ) მეწყრული;
დ) აბრაზიული.

(1) 16. რომელი სახელმწიფო ნაკრძალის ფოტოკოლაჟია მოცემული ილუსტრაციაზე?

ა) კოლხეთის;
ბ) ლაგოდეხის;
გ) ვაშლოვანის;
დ) აჯამეთის.

(1) 17. როგორი ტბის ფორმირების პროცესია ნაჩვენები ილუსტრაციაზე?



ა) ლაგუნური;
ბ) კარსტული;
გ) გლაციალური;
დ) შთენილი.

(2) 18. რუკაზე მოცემულია ერთ-ერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურისგან წარმოებული ყველა სახის პროდუქციის წილი მსოფლიო ექსპორტში ქვეყნების მიხედვით (2021 წ.). გააანალიზეთ რუკა და უპასუხეთ კითხვებს:



გადასვლა დავალების: II გვერდზე

(1) 18.1. რომელი სასოფლო-სამეურნეო კულტურისგან წარმოებული პროდუქციის ექსპორტია ნაჩვენები რუკაზე?

ა) ბრინჯის;

ბ) ყავის;

გ) კაკაოს;

დ) ზეთისხილის.

(1) 18.2. რატომ არის ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ეს მონაცემი ასეთი მაღალი?

ა) რადგან ამ ქვეყნებში მოჰყავთ აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის უდიდესი ნაწილი;

ბ) რადგან ამ ქვეყნებში ხდება აღნიშნული კულტურის გადამუშავება და მისგან წარმოებული პროდუქციის ექსპორტი;

გ) რადგან ამ ქვეყნების სამზარეულოში ყველაზე ნაკლებად გამოიყენება აღნიშნული პროდუქცია;

დ) რადგან ამ ქვეყნებში ხდება აღნიშნული კულტურის სელექციური ჯიშების გამოყვანა.

გადასვლა დავალების: I გვერდზე

(3) 19. გააანალიზეთ ილუსტრაციები და უპასუხეთ კითხვებს:

(1) 19.1. რომელი ჩანჩქერია ნაჩვენები ფოტოზე?

ა) მარდალსფოსენი; ბ) საზერლენდი;

გ) ანხელი; დ) ტუგელა.

(1) 19.2. რომელი ბუნებრივი ზონაა წარმოდგენილი ჩანჩქერის ძირში?

ა) სავანის; ბ) სუბტროპიკული ხეშეშფოთლიანი ტყის;

გ) ტაიგის; დ) ტროპიკული ტყის.

(1) 19.3. რომელ სახელმწიფოში მდებარეობს ჩანჩქერი?

ა) ვენესუელაში; ბ) ახალ ზელანდიაში;

გ) ნორვეგიაში; დ) სარ-ში.

(4) 20. გააანალიზეთ ილუსტრაცია და უპასუხეთ კითხვებს:



გადასვლა დავალების: II გვერდზე

(1) 20.1. რომელი მოგზაურის მარშრუტია მოცემული ილუსტრაციაზე?

ა) ერნან კორტესის; ბ) მარკო პოლოს; გ) ვასკო და გამას; დ) ფრანსისკო დე ორელიანას.

(1) 20.2. რა სახელწოდებით არის ცნობილი ეპოქა, როდესაც ეს მოგზაურობა განხორციელდა?

ა) მეცნიერული აღორძინების ეპოქა; ბ) პოსტინდუსტრიალიზაციის ეპოქა;

გ) ჯვაროსნული ომების ეპოქა; დ) დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა.

(1) 20.3. აირჩიეთ მარშრუტის ის მონაკვეთი, რომელიც აღნიშნული ექსპედიციის წევრებმა ევროპელთაგან პირველებმა გაიარეს:

ა) ლუანდიდან კეთილი იმედის კონცხამდე;

ბ) კეთილი იმედის კონცხიდან მომბასამდე;

გ) ლისაბონიდან მწვანე კონცხის კუნძულებამდე;

დ) მწვანე კონცხის კუნძულებიდან ლუანდამდე.

(1) 20.4. ჩამოთვლილთაგან რამ განაპირობა ევროპელების მიერ ინდოეთისკენ მიმავალი ალტერნატიული გზის ძიება?

ა) ევროპაში მწვავედ იდგა ენერგო რესურსებით მომარაგების პრობლემა და საჭირო იყო აზიასთან კავშირების გაძლიერება;

ბ) ინკვიზიციის პერიოდში სასულიერო პირები საერო ხელისუფალთ დაპყრობითი ომებისკენ უბიძგებდნენ;

გ) ესპანეთი და პორტუგალია ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ახალი გეოგრაფიული ობიექტების აღმოჩენასა და მათ მეცნიერულ კვლევაში;

დ) არაბებმა გადაკეტეს ინდოეთისკენ მიმავალი უმოკლესი სავაჭრო გზები და აზიური საქონელი გაუძვირეს ევროპელებს.

გადასვლა დავალების: I გვერდზე

(5) 21. ტოპოგრაფიული რუკის ფრაგმენტების მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

(1) 21.1. რამდენი მეტრია მ. კოპალას აბსოლუტური სიმაღლე?



ა) 160,4 მ

ბ) 177,1 მ

გ) 180,9 მ

დ) 192,7 მ



რელიეფი

ძირითადი ჰორიზონტალები გავლებულია ყოველ 2,5 მეტრში

ა) ძირითადი ჰორიზონტალები

ბ) ძირითადი გამსხვილებული ჰორიზონტალები

გ) დამატებითი ჰორიზონტალები (ნახევრადჰორიზონტალები)

დ) ჰორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში

ე) კალთის დახრის მაჩვენებლები (ბერგშტრიხები)

სიმაღლის ნიშნულები ა) ძირითადი ბ) ჩვეულებრივი



ჰიდროგრაფია

მდინარეები, ნაკადულები, ტბები

შრობადი ნაკადები

(1) 21.2. განსაზღვრეთ, რამდენი მეტრია მდ. ცარცულას ვარდნა:



ა) 4.5 მ
ბ) 6.5 მ
გ) 8.5 მ
დ) 10.5 მ



რელიეფი

ძირითადი ჰორიზონტალები გავლებულია ყოველ 2,5 მეტრში

ა) ძირითადი ჰორიზონტალები
ბ) ძირითადი გამსხვილებული ჰორიზონტალები
გ) დამატებითი ჰორიზონტალები (ნახევრადჰორიზონტალები)
დ) ჰორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
ე) კალთის დახრის მაჩვენებლები (ბერგშტრიხები)

სიმაღლის ნიშნულები ა) ძირითადი ბ) ჩვეულებრივი



ჰიდროგრაფია

მდინარეები, ნაკადულები, ტბები

შრობადი ნაკადები

(1) 21.3. რომელი დასახლებული პუნქტი მდებარეობს სოფელ ბარეთიდან დაახლოებით 315 ^{0} აზიმუტით?



ა) ლივადი;

ბ) ყარაკომი;

გ) იმერა;

დ) ბეშთაშენი.

(2) 21.4. რომელი წერტილიდან (A, B თუ C) *<u>არ გამოჩნდება</u>* ბარეთის ტბა? პასუხი ახსენით.



(2) 22. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება *<u>არ არის</u>* შესაძლებელი):

რუკაზე ვარსკვლავით აღნიშნულია მყინვარი	
	
	

მყინვარის სახელწოდება					
1	2	3	4	5	6
დევდარაკი	დოლრა	ლეხზირი	პტიში	ტვიბერი	თბილისა

(2) 23. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	ფაქტი		სახელმწიფო
ა	კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრია.	1	
ბ	აქვს ევროპის კავშირთან ასოცირების შეთანხმება.		
გ	აქვს ატომური ელექტროსადგური.		
დ	ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია რუსეთის მიერ.	2	
ე	თურქეთთან საზღვარი აქვს მხოლოდ მის ექსკლავს.		
ვ	სამხრეთ კავკასიაში ყველაზე ღარიბია სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მარაგით.	3	

(2) 24. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება *<u>არ არის</u>* შესაძლებელი):

სახელმწიფოს კონტური		
ა)	ბ)	გ)
დ)	ე)	ვ)

დედაქალაქის გეოგრაფიული კოორდინატები						
1	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**
ჩ.გ. 45°25' დ.გ. 75°41'	ჩ.გ. 28°36' ა.გ. 77°12'	ს.გ. 35°18' ა.გ. 149°07'	ს.გ. 15°48' დ.გ. 47°54'	ჩ.გ. 41°43' დ.გ. 44°47'	ჩ.გ. 59°55' ა.გ. 10°45'	ს.გ. 25°45' ა.გ. 28°11'

(2) 25. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება *<u>არ არის</u>* შესაძლებელი):

კლიმატური დიაგრამა



ჰავის ტიპი

1	2	3	4	5	6
ხმელთაშუაზღვიური	მკვეთრად კონტინენტური	მუსონური	არიდული	პოლარული	ნოტიო ეკვატორული

(2) 26. დიაგრამაზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით დაასახელეთ ელექტროსადგურის ტიპი, სადაც ხდება ყველაზე მეტი ელექტროენერგიის გამომუშავება X ქვეყანაში. თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ.



(8) 27. გააანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

2020 წლიდან მსოფლიო მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სიტუაცია განსაკუთრებით გართულდა ევროპაში. 2022 წლის თებერვალში კი ფართომასშტაბიან სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა.

რუსეთის აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ განაპირობა გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი II-ის“ ექსპლუატაციაში შესვლის დაბლოკვა და კიდევ უფრო მწვავედ დააყენა ევროპის რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებულების საკითხი. რუსეთის სახელმწიფოსთვის ენერგომატარებლები პოლიტიკური ზეწოლისა და შანტაჟის იარაღად იქცა.





გადასვლა დავალების: II გვერდზე, III გვერდზე



მილსადენების მარშრუტები ევროპაში

გადასვლა დავალების:
I გვერდზე,
III გვერდზე

(2) 27.1. დაასახელეთ ევროპის კავშირის წამყვანი სახელმწიფო, რომელიც ლობირებდა „ჩრდილოეთის ნაკადი II-ის“ პროექტს. რით აიხსნება ამ ქვეყნის აღნიშნული პროექტით დაინტერესება?

(2) 27.2. დაასახელეთ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფო, რომელიც ეწინააღმდეგებოდა „ჩრდილოეთის ნაკადი II-ის“ პროექტს. რით აიხსნება ამ ქვეყნის პოზიცია?

(1) 27.3. რამდენი პროცენტით იყო დამოკიდებული რუსეთზე ევროპის კავშირის ბუნებრივი აირით მომარაგება 2021 წლისთვის?

(1) 27.4. 2020 წელს ტრანსპორტის ძირითადად რომელი სახეობით მარაგდებოდა ევროპის კავშირი ბუნებრივი აირით?

(1) 27.5. ევროპის კავშირმა განაცხადა რუსეთის ბუნებრივ აირზე დამოკიდებულების შემცირებისა და საბოლოოდ უარის თქმის სტრატეგიის შემუშავების შესახებ. ახსენით, რომელი ალტერნატიული გზით არის შესაძლებელი აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა?

(1) 27.6. რა ფუნქცია შეიძლება შეასრულოს საქართველომ აღნიშნული ენერგოკრიზისის მოგვარებაში?

გადასვლა დავალების: I გვერდზე, II გვერდზე

(6) 28. გააანალიზეთ ილუსტრაციები და უპასუხეთ კითხვებს:

გადასვლა დავალების: II გვერდზე

(1) **28.1.** ილუსტრაციებიდან აარჩიეთ და დაასახელეთ ის ოთხი დარგი, რომლებიც დღეისთვის წამყვანია კახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობაში.

(1) **28.2.** ილუსტრაციებზე ნაჩვენები სოფლის მეურნეობის დარგებიდან რომელი წარმოადგენდა საბჭოთა პერიოდში კახეთისთვის სპეციალიზაციის ერთ-ერთ დარგს, ხოლო დღეს იგი ერთეული საოჯახო მეურნეობების სახით არის შემორჩენილი?

(1) **28.3.** დაასახელეთ ეკოლოგიური პრობლემა, რომლის განვითარებასაც ხელს უწყობს ცხვრის უკონტროლო ძოვება.

(2) **28.4.** სად მდებარეობს კახეთის რეგიონში ზაფხულისა და ზამთრის საძოვრები?

(1) **28.5.** ახსენით, გარდა ესთეტიკური თვალსაზრისისა, რა პრაქტიკული დანიშნულება აქვს ვენახში ვარდის ბუჩქის დარგვას.

გადასვლა დავალების: I გვერდზე